



ჯერომ სელინჯერი

ჭერი ასწიეთ, დურგლებო

და

სიმორი – შესავალი

ჯერომ სელინჯერი
ჭერი ასნიეთ, ღურგლეგო და სიმორი – შესავალი

Copyright © 1955, 1959 by J.D. Salinger
Copyright renewed © 1983, 1987 by J.D. Salinger

მთარგმნელები:

ვანტანგ ჭელიძე – „ჭერი ასნიეთ, ღურგლეგო“
ლელა დუმბაძე – „სიმორი – შესავალი“

რედაქტორი

ანა ჭაბაშვილი

დიზაინერი

ბესო დანელია

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2011

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-232-4

www.diogene.ge

თუ ამქვეყნად კიდევ დარჩა მოყვარული მკითხველი – ან ვინმე, ვისაც კითხვის ან თუნდაც თვალის შევლების სურვილი არ განელება – ენით გამოუთქმელი სიყვარულითა და მადლიერებით ვთხოვ, ამ წიგნის მიძღვნა ოთხად გაინანილოს ჩემს მეუღლესთან და შვილებთან.

ჭერი ასწიეთ, დურგლებო

და

სიმორი – შესავალი

ერთ საღამოს, ამ ოცი წლის წინათ, როცა ჩვენს უშველებელ ოჯახში ყბაყურას ეპიდემია მძვინვარებდა, ჩვენი ნაბოლარა და, ფრენი, თავისივე პატარა სანოლითა და ყველა მონყო-ბილობით, მე და ჩემს უფროს ძმა სიმორს შემოგვიხიზნეს ოთახში; აქ ალბათ ბაცილები არ ეგულებოდათ. მე თხუთმეტი წლის ვიყავი, სიმორი – ჩვიდმეტისა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა უცებ ახალი მობინადრის ჩხავილმა გამომადვიდა. ერთი პირობა გავიტრუნე, ნეიტრალური პოზიცია დავიჭირე, ჩუმად ვუგდებდი ყურს ტირილს. მერე გავიგონე თუ ვიგრძენი, როგორ შეიშმუშნა სიმორი თავის ლოგინში, იქვე ჩემ გვერდით. იმხანად საღამურ მაგიდაზე, სანოლებს შორის, პატარა ელექტროფარანი გვედო; ისე, ყოველი შემთხვევისათვის. თუმცა, რამდენადაც მახსოვს, არავითარი იმისთანა შემთხვევა არ მომხდარა, ეს ფარანი დაგვჭირვებოდეს. სიმორმა ფარანი

ანთო და ლოგინიდან გამოძვრა.

– ბოთლი ლუმელზეა, დედამ ასე გვითხრა,
– გავძახე მე.

– ახლახან ვაჭამე, – მიპასუხა სიმორმა, –
არა შია.

პირდაპირ წიგნის კარადისკენ გაემართა
სიბნელეში, ფარანი წიგნებს მიანათა და
თაროებზე მოატარა.

მე წამოვჯექი.

– რას ეძებ?

– იქნებ რამე წავუკითხო-მეთქი, – მითხრა
სიმორმა და რალაც წიგნი გადმოიღო.

– ათი თვის ბალღს? კარგი ერთი, თუ
ღმერთი გწამს!

– ვიცი, – მიპასუხა სიმორმა, – მაგრამ
ყურები ხომ აბიათ?! მაგათ ყველაფერი ესმით.

თავისი საყვარელი მოთხრობა წაუკითხა
იმ ღამეს სიმორმა ფრენის, ფარნის შუქზე,
ეს იყო ტაოისტური ზღაპარი. ფრენი დღემდე
იფიცავს, ყველაფერი მახსოვს, რაც იმ ღამეს
სიმორმა წამიკითხაო:

„ჩინეთის მთავარმა მუმ პო ლოს უთხრა:
„უკვე ხანში შეხვედი, ისეთი ვინმე თუ გყავს
ოჯახში, რომ ცხენების მოვლა შენ მაგივრად
იმას გადავაბაროო?“ პო ლომ უპასუხა: „კარგ
ცხენს როგორც კი შეხედავ, მაშინვე იცნობ
მოყვანილობაზე. უბადლო ბედაური კი, რო-
მელიც ისე დაქრის, რომ არც მტვერს წა-
მოშლის და არც კვალს დატოვებს მიწაზე,
შეუცნობელია, თვალს ვერ მოჰკრავ, ნიავეით
უხილავია. ჩემი შვილებისათვის დიდი ნიჭი არ
მოუმადლებია ღმერთს: კარგ ცხენს ადვილად
გამოარჩევენ, მაგრამ ბედაურის გამოცნობას
ვერ მოახერხებენ. ერთი მეგობარი მყავს, ჩუ-

ფან კაო, ნახშირსა და მწვანე ილს ყიდის ხოლმე ქუჩა-ქუჩა, ცხენის გამოცნობაში არაფრით არ ჩამომივარდება. იმას მოუხმე“.

„მუმ მართლაც მოუხმე და დაავალა, კარგი ბედაური შემიჩიო. გავიდა სამი თვე და დაბრუნდა ეს კაცი, ამბავი მოიტანა, ერთი ბედაური დავიგულეო. „შახიუშია ამჟამად“, დასძინა მან. „რა ცხენია?“ ჰკითხა მთავარმა. „ნაბლა ფაშატი“, იყო პასუხი. მაგრამ, როცა ხალხი გაგზავნეს და მოაყვანიეს, კუპრივით შავი ულაცი გამოდგა! ეწყინა მთავარს და პოლო დაიბარა.

– იმ შენმა მეგობარმა სულ აურია ყველაფერი, – უთხრა მთავარმა, – ცხენი ამოვარჩევინე, მაგრამ ვერც ფერი გაიგო და ვერც იმას მიხვდა, ფაშატი იყო თუ ულაცი. მაგისტანა კაცს ცხენისა რაღა მოეკითხება!

პოლომ შვეებით ამოისუნთქა.

– რასა ბრძანებთ, ათი ათას ჩემისთანას სჯობნებია. მე მაგასთან სად მოვალ? კაო მის სულიერ არსს ჩასწვდომია. თანაც ისე ღრმად, რომ გარეგნული ნიშნებისათვის ყურადღება დიდად არც მიუქცევია. რაღაი შინაგან თვისებებს დააკვირდა, გარეგანი გამორჩა. მთავარი შენიშნა, რაც ყველაზე უფრო აინტერესებდა, ხოლო რაც არ აინტერესებდა, იმას აღარც დაჰკვირვებია. რაც უფრო საჭირო და მნიშვნელოვანი იყო, ის შეუნიშნავს, უმნიშვნელო კი გამოჰპარვია. ეგ კაცი ისე დაბრძენებულა, რომ ცხენის გამორჩევა კი არადა, უფრო დიდ საქმეებსაც გაარჩევს“.

„მოიყვანეს ცხენი და მართლაც უბადლო ბედაური გამოდგა“.

იმიტომ კი არ გავიხსენე ეს ზღაპარი,

თითქოს მშობლებსა და უფროს ძმებს ვურჩევდე, ათი თვის ბალღებს ნაუკითხონ და გააყურონ. არა, ჩემი მიზანი სულ სხვა რამ იყო. მე ახლა ერთი ქორწინების ამბავს მოგიტხრობთ. ეს მოხდა 1942 წელს. ჩემის ფიქრით, თავიცა აქვს ამ ამბავს და ბოლოც. ის კი არადა, მოახლოებული სიკვდილიც იგრძნობა მასში. თუმცა რაკი შემდგომი ამბებიც ცნობილია ჩემთვის, თავს ვალდებულად ვრაცხ, აქვე შევნიშნო, რომ სასიძო ახლა, 1955 წელს, ცოცხლებში აღარ ურევია. თავი მოიკლა 1948 წელს, როცა ცოლთან ერთად ფლორიდაში ისვენებდა... მაგრამ ჩემი მთავარი სათქმელი აი რა არის: რაც ეს სასიძო ამ ქვეყნიდან წავიდა, კაციშვილი აღარ მეგულება, რომ ნამდვილი ბედაურის ამორჩევა დავავალო.

* * *

1942 წლის მაისის მინურულს მოხეტიალე კომიკური თეატრის ყოფილი მსახიობების ლეს და ბესი (ქალიშვილობის გვარი გალაჰერი) გლასების შთამომავლობა – შვიდი სული ადამიანი – პათეტიკურად რომ ვთქვათ, მთელს შეერთებულ შტატებში მიმოიფანტა. მე პირადად, რიცხვით მეორე ჩვენს ოჯახში, ფორტ-ბენინგის სამხედრო ჰოსპიტალში ვინეიქი, ჯორჯიის შტატში: ქვეითში ვიყავი გამწესებული და სამ თვეზე მეტი ხნის გამუდმებულმა წვრთნამ სახსოვრად პლევრიტი ამკიდა. ტყუპები – უოლტი და უეიკერი – ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაამორეს ერთმანეთს: უეიკერი, სამხედრო სამსახურზე უარის თქმისთვის მერილენდის ბანაკში იჯდა, ხოლო უოლტი სადღაც წყნარ ოკეანეში იყო, თუ ახლა მიემართებოდა

იქითკენ, საველე არტილერიის ნაწილებთან ერთად (დანამდვილებით ვერასოდეს იტყოდი, სად იქნებოდა უოლტი. წერილების წერა მაინცდამაინც არ უყვარდა, ხოლო დალუპვის შემდეგაც ბევრი ვერაფერი გავიგეთ მისი. ყოვლად სულელურმა შემთხვევამ იმსხვერპლა იაპონიაში, 1945 წელს, შემოდგომის მიწურულს).

უფროსი და, ბუ-ბუ, რომელიც ხნოვანების მიხედვით ჩემსა და ტყუპებს შორის მოდის, ბრუკლინში იყო გამწესებული, სამხედრო-საზღვაო ბაზაში, უმცროს ლეიტენანტად, და მთელი ის გაზაფხულ-ზაფხული ნიუ-იორკის პატარა ბინაში გაატარა, რომელიც სიმორისა და ჩემი ჯარში განვევის შემდეგ გათავისუფლდა. სულ უმცროსები – ზუი (ბიჭი) და ფრენი (გოგონა) – დედ-მამასთან ერთად ცხოვრობდნენ, ლოს-ანჯელესში, საცა მამაჩემი თავგამოდებით ეძებდა ნიჭიერ მსახიობებს კინოსათვის. ზუი ცამეტი წლის იყო, ფრენი რვისა. კვირაში ერთხელ რადიოში გამოდიოდნენ, კითხვა-პასუხის საბავშვო გადაცემებში, რომელსაც ტიპური ამერიკული სახელწოდება ჰქონდა, ცოტა არ იყოს ირონიული აქცენტით – „მოუსმინეთ ჭკვიან ბავშვებს“. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ გადაცემაში წლიდან წლამდე თითქმის შვიდივე ბავშვი ვმონაწილეობდით ჩვენი ოჯახიდან, როგორც დაქირავებული „სტუმრები“, ხან რომელი და ხან რომელი. სულ პირველად სიმორი და მე გამოვედით, ეს იყო ჯერ კიდევ 1927 წელს, როცა სიმორს ათი წელი შეუსრულდა, მე კი – რვა. გადაცემას იმჟამად ვანარმობდით ძველ სასტუმროში „მორი-ჰილიდან“. შვიდივენი, სიმორით დაწყებული და ფრენით

გათავებული, ფსევდონიმებით გამოვდიოდით ხოლმე. ძალიან უცნაური და დაუჯერებელი კია – ჩვენ ხომ მსახიობების შვილები ვიყავით, საჯარო რეკლამას თითქოს არ უნდა მოვრიდებოდით, მაგრამ დედაჩემს ერთხელ რომელიღაც ჟურნალში სტატია წაეკითხა, რა მიძიმე ხვედრი აქვთ მცირეწლოვან პროფესიონალებს, როგორ ეთიშებიან ისინი ჩვეულებრივ ბავშვებს, რომლებთანაც ურთიერთობა, ეტყობა, სასურველი და საჭიროა... ამის შემდეგ მან რკინის სიმტკიცე გამოიჩინა და ერთხელაც, ერთხელაც ამდენი ხნის განმავლობაში, არ გატეხილა (აქ უადგილო იქნება იმის გარჩევას მოვყვეთ, ჭეშმარიტად სამართლიანია თუ არა – ყველა „პროფესიონალი“ ბავშვი, ან უმრავლესობა მათგანი მაინც, კანონგარეშედ გამოვაცხადოთ, გულმონყალებით მოვეკიდოთ თუ შეუბრალებლად დავსაჯოთ, როგორც საზოგადოებრივი მყუდროების დამრღვევნი. იმასღა შევნიშნავ, რომ ამ გადაცემებიდან მიღებულმა ფულმა ექვს ჩვენგანს კოლეჯი დაამთავრებინა და მეშვიდეც ამჟამად იმავე სახსრებით სწავლობს).

უფროსი ძმა სიმორი – უმთავრესად სწორედ მასზე გვექნება ჩვენ აქ ლაპარაკი – კაპრალი იყო და იმ სამხედრო შენაერთში მსახურობდა, რომელსაც მაშინ, 1942 წელს, საჰაერო-სამხედრო ძალებს უწოდებდნენ. გამწესებული იყო კალიფორნიის ბ-17 ნაწილში, და დარწმუნებული ვარ, დანაყოფის კლერკობა ჰქონდათ დავალებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, და ეს არცთუ უმნიშვნელო ფაქტია, რომ მთელს ოჯახში ყველაზე უფრო სწორედ იმას ეზარებოდა წერილების წერა. არა მგონია, მთელს

სიცოცხლეში ხუთი წერილი მიმელოს მისგან.

ერთ დილას, აღარ მახსოვს, ოცდაორი თუ ოცდასამი მაისი იყო (ჩვენს ოჯახში არავის არა ჰქონია წესად, წერილზე თარიღი დაესვა), ჩემი დის, ბუ-ბუს წერილი მომიტანეს ფორტ-ბენინგის გარნიზონის ჰოსპიტალში და ფეხებთან დამიგდეს; ის იყო დიაფრაგმაზე მწებარე სალბუნს მაკრავდნენ (ეს ჩვეულებრივი პროცედურაა პლევრიტით დაავადებულთათვის, ალბათ იმ მიზნით, რომ ხველისაგან ერთიანად არ დაიფხრიწონ). როგორც იქნა, მოვრჩი წამებას და ბუ-ბუს წერილი წავიკითხე. დღემდე შემომრჩა ეს წერილი და სიტყვასიტყვით გადმოვიტან:

„ძვირფასო ბადი!

გასამგზავრებლად ვემზადები და საშინელ ფათაფუთში ვარ, ამიტომ ეს წერილი მოკლე იქნება, მაგრამ ძალიან საგულისხმო. ადმირალმა თედორქმეტიამ გადაწყვიტა, მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად სადღაც ჯანდაბისაკენ გაფრინდეს, თან თავისი მდივნის წაყვანაც განუზრახავს, კარგად თუ მოვიქეცი და არაფერი დავაშავე. ძაღლის გუნებაზე ვარ. სიმორს რომ თავი დავანებოთ, ჯერ მარტო ლითონის კარვებში გდება წარმოიდგინე, ხომ ერთიანად გავიყინე! ახლა ჩვენი ჯარისკაცები რომ ჩამომეკიდებიან ბიჭბუჭებივით და გასაქანს აღარ მომცემენ! ცალკე თვითმფრინავში ჯდომა და იმ ოხერი ქაღალდების ქექვა!.. მაგრამ ამ წერილს რათა გწერ: სიმორი ცოლს ირთავს, ჰო, ცოლს ირთავს, ასე რომ, კეთილი ინებე და ცოტათი თავი შეინუხე. მე ვერ ჩავალ ქორწილზე. მთელი თვე-ნახევრით თუ ორი თვით მივემგზავრები. გოგო უკვე ვნახე. მე

თუ მკითხავ, არარაობას წარმოადგენს, მაგრამ თვალს ვერ მოსწყვეტ, იმისთანა ლამაზია. მართალი თუ გინდა, ვერც იმას დავიჟინებ, არარაობაა-მეთქი. ეს არის, რომ ორი სიტყვაც არ დასცდენია იმ საღამოს, მე რომ ვნახე. იჯდა, ერთთავად იღიმებოდა და სიგარეტს აბოლებდა. ასე რომ, მეშინია, უსამართლობა არ გამომივიდეს. მაგათი რომანისაც არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ, მგონი, შარშან ზამთარში შეხვდნენ ერთმანეთს, როცა სიმორის ნაწილი მონმაუთში იდგა; მაგრამ დედამისია, რაც არის, ყველაფერში რომ ცხვირსა ჩრის! კვირაში ორჯერ, როგორც წესი, ცნობილ ფსიქოანალიტიკოსთან დადის, იუნგის მოწაფე ყოფილა ვიღაცა (იმ საღამოს, მე რომ გავიცანი, ორჯერ მკითხა, შენ თუ ყოფილხარ ფსიქოანალიზზე). ნეტა სიმორი უფრო მეტ ხალხში ტრიალებდესო. მე კი ისედაც ძალიან მომწონს და მიყვარსო, და რა ვიცი, მოხსნა პირი, მთელი იმ ხნის განმავლობაში მუდამ სასოებით ვუსმენდი რადიოშიო. ერთი სიტყვით, მეტი არაფერი ვიცი მაგათი, ეს კია, რომ ქორწილზე უსათუოდ უნდა ჩახვიდე. იცოდე, არასდიდებით არ გაპატიებ ჩაუსვლელობას, ჩემს დღეში არ დავივიწყებ. არ გეხუმრები. დედა და მამა ვერ ჩამოვლენ. ჯერ ერთი, ფრენის ნითელა აქვს. ჰო, მართლა, წარსულ კვირას თუ მოუსმინე რადიოში? მოდგა და იმდენ ხანს იტიტინა, ოთხი წლისა რომ ვიყავი, დავრჩებოდი თუ არა მარტოკა შინ, იმ წუთში ბინაში ფრენას მოვყვებოდიო. ახალი დიქტორი გრანტზე უარესი გამოდგა, იმდროინდელ სალივენზედაც უარესი, თუკი შეიძლება იმაზე უფრო ცუდი ვინმე წარმოიდგინოს

კაცმა. ალბათ დაგესიზმრა, რომ ფრინავდიო. მაგრამ ბალლი არ გატყდა, ანგელოზის სიმტკიცე გამოიჩინა. არაო, უპასუხა, ნამდვილად დავფრინავდიო, ეს იმითაც ვიცი, რომ, დაბლაროცა დავეშვებოდი, თითები სულ მტვრიანი მქონდა ელექტრონათურებისგანო. ერთი სული მაქვს, მანამ ფრენის ვნახავდე. შენც ძალიან მომენატრე. ერთი სიტყვით, ქორწილს უსათუოდ უნდა დაესწრო. დეზერტირობასაც ნუ მოერიდები, თუ ისე არ გაგათავისუფლებს, ოღონდ კი უსათუოდ ჩადი, გეხვეწები. ქორწილი ოთხი ივნისისთვის არის დანიშნული, სამ საათზე. ყოვლად თანამედროვე ქორწილი იქნება, ქალის ბებიის ბინაზე, 63-ე ქუჩაზე. ვილაც მოსამართლემ უნდა დასწეროს ჯვარი. სახლის ნომერი არ ვიცი, მაგრამ სიმდიდრითა და ფუფუნებით გულმოყირჭებული კარლი და ემი ხომ გახსოვს, იმათგან სწორედ მეორე სახლია. უოლტსაც ვუგზავნი დეპეშას, მაგრამ ის, მგონი, უკვე გაემგზავრა. უსათუოდ უნდა ნახვიდე, ბადი, გეხვეწები. სულ დაილია, კატას დაემსგავსა, თვალები კი ისეთი ანთებული აქვს, გაგიკვირდება. იქნებ ყველაფერი კარგად წარიმართოს, მაგრამ ჭირის დღესავით მძულს ეს ათას ცხრაას ორმოცდაორი წელი, და, მანამ პირში სული მიდგას, სულ ასე მეძულება, პრინციპის გულისთვის. სიყვარულით გეხვევი. როცა დავბრუნდები, გნახავ.

ბუ-ბუ“.

წერილების მიღების შემდეგ ორიოდე დღე გავიდა და გამომწერეს კიდეც საავადმყოფოდან, ჩემი თავი სამ იარდ მწებარე სალბუნს მიანდეს, ნეკნებზე მქონდა შემოკრული. მერე

დაიწყო მთელი კვირის გამწარებული იერიში ქორწილზე წასვლის ნებართვის მისაღებად. იმდენს ვეცადე, რომ ბოლოს, როგორც იქნა, გამოიმეტა ნებართვა ჩემი ნაწილის მეთაურმა: მწიგნობარი კაცი იყო, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, და, საბედნიეროდ, საერთო საყვარელი მწერალი აღმოგვაჩნდა – ლ. მენინგ ვაინსი, თუ ჰაინდსი, კარგად არ მახსოვს. მაგრამ ამ დიდი სულიერი ნათესაობის მიუხედავად, სამ დღეზე მეტი თავისუფლება მაინც ვერ დავტყუე, ეს დრო კი ძლივსდა თუ მეყოფოდა, რომ ნიუ-იორკში ჩავსულიყავი, ჯვრისწერას დავსწრებოდი, სადმე ფაცხაფუცხით წამესადილა და ხელად უკანვე გავქანებულიყავი, ჯორჯიაში.

რამდენადაც მახსოვს, ათას ცხრაას ორმოცდა ორ წელს ვენტილაცია მატარებლებში მხოლოდ ფორმალურად იყო, სახელად; სამხედრო გუმბაგებით გაჭედულ „საჯდომ“ ვაგონში ფორთოხლის წვენის, რძისა და ქერის ერთმანეთში არეული სუნი იდგა. მთელი ღამე ხველასა და კომიქსის კითხვაში გავატარე – ვილაცამ სიკეთე გამოიჩინა და მათხოვა. სამის ათ წუთზე მიადგა მატარებელი ნიუ-იორკს. ქანცი აღარ შემრჩა ხველისგან, გასავათებული ვიყავი, ოფლში ვინურებოდი, სალბუნის ქვეშ კანი ჯოჯოხეთურად მექავებოდა. ენით აუნერელი ხვატი იდგა ნიუ-იორკში. ჩემს ბინაზე მისვლას ვერ მოვასწრებდი, ამიტომ ავდექი და ბარგი – საკმაოდ შეფერთხილი ტილოს საკვოიასი – პენსილვანიის სადგურზევე დავტოვე, ლითონის ყუთში. თითქოს ჩემი გაჭირვება არ მეყოფოდა – ქალაქში რომ გამოვედი და მზა ტანსაცმლის მაღაზიებს ჩავუარე, თვალს

აქეთ-იქით ვაცეცებდი, თავისუფალ ტაქსის ვეძებდი, და უცებ ზედ მეშვიდე ავენიუსთან, ის იყო, ქუჩა უნდა გადამეჭრა, რომ კავშირგაბმულობის სამსახურის უმცროსმა ლეიტენანტმა ჩამიარა, მაგრამ, ეტყობა, ვერ შევნიშნე და ხელი ვერ ავუღე; იშვლიძა ავტომატური კალამი და ჩემი გვარი, ნაწილის ნომერი და მისამართი ჩაინერა. ცნობისმოყვარე ხალხი ჩვენ მოგვშტერებოდა.

ტაქსიში რომ ჩავჯექი, სულ მომისავათდა. შოფერს მისამართი მივეცი, გადავწყვიტე, კარლისა და ემის ძველ სახლამდე მაინც მივსულიყავი. მაგრამ, როცა ამ უბანს მივადექით, ძალიან ადვილი მისაგნები გამოდგა: უბრალოდ, ბრბოს უნდა მიჰყოლოდი უკან. ტილოსჩარდახიანი კარეტაც კი მოეყვანათ. ერთი ნუთიც და უშველებელ ძველებურ ქვის სახლში აღმოვჩნდი, სადაც ღია ლავანდისფერთმიანი, ძალიან ლამაზი ქალი შემომეგება და მკითხა, ვისი მეგობარი ხართ – სასიძოსი თუ საპატარძლოსიო. სასიძოსი-მეთქი, მე ვუთხარი. – ო, – თქვა მან, – ხომ ხედავთ, რა არეულობაა! – ერთი გადაიკისკისა და საკეც სკამზე მიმითითა. ეს იყო ერთადერთი თავისუფალი სკამი იმ უშველებელ, ხალხით გამოჭედილ ოთახში. მაგრამ დაწვრილებით აღწერა ოთახისა არ შემეძლია, ცამეტი წლის განმავლობაში დავინწყების ბურუსს მიეცა თითქმის ყველაფერი, რაც იმ ოთახთან იყო დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ ხალხით გაჭედილი იყო და აუტანელი სიცხე იდგა, კიდევ ორი რამ მაგონდება: ერთი ის, რომ თითქმის ზედ ჩემ ზურგს უკან ორგანი უკრავდა, და მეორეც – უცებ ხელმარჯვნივ მჯდომი ქალი მომიბრუნდა და, რა-

დაცნაირად ატაცებულმა, თეატრალური ჩურჩულით მითხრა: „მეელენსილსბერნივარ“. ისეთ ადგილას ვისხედით ორივენი, რომ მივხვდით, პატარძლის დედა არ იქნებოდა, მაგრამ მაინც სიფრთხილე ვიხმარე და გავუღიმიე, თავაზიანად დავაქნიე თავი, დავაპირე ჩემი ვინაობაც მეთქვა, მაგრამ ღირსეული თავდაჭერით მიიღო თითი ტუჩებზე და ორივემ წინ გავიხედეთ. დაახლოებით სამი საათი იქნებოდა. თვალები დავხუჭე და მოლოდინში გავიტრუნე – ვიცდიდი, როდის მოათავებდა ორგანისტი სასხვათაშორისო რამეების დაკვრას და „ლოენგრინის“ მარშს როდის დააგუგუნებდა.

ნათლად ვერ წარმომიდგენია, როგორ გავიდა კიდევ ერთი საათი და თხუთმეტი წუთი. ესლა მახსოვს რომ „ლოენგრინი“ აღარ დაუკრავთ. ბუნდოვნად მაგონდება უცნობი სახეები, მალულად გამოიხედავდნენ ხოლმე, შიგადაშიგ, ათვალთვლებდნენ, ვინ ახველებსო. ისიც მახსოვს, როგორ მობრუნდა ერთხელ კიდევ ჩემს ხელმარჯვნივ მჯდომი ქალი და ისეთივე თეატრალური ჩურჩულით მითხრა: – ეტყობა, შეაგვიანდებათ. მოსამართლე რანკერი თუ გინახავთ? ნამდვილი წმინდანის სახე აქვს. – მახსოვს, როგორ ერთბაშად, თითქოს რაღაც უცნაური გამწარებით, გადავიდა ორგანი ბახიდან ადრეულ როჯერსა და ჰარტზე. ვშიშობ, მეხსიერება არ მლალატობდეს, მაგრამ, მგონი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემივე თავს ვეჯექი ჰოსპიტალში სასთუმალთან და თანავუგრძნობდი, რომ ჩემს გემოზე ვერ ვახველებდი, იძულებული ვიყავი, ხველა შემეკავებინა. მთელი ის დრო, რაც იმ ოთახში გავატარე, სულ შიშის კანკალი მქონ-